ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N06

8 აპრილი 2022 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2022 წლის 8 აპრილს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, მურად ბურჯანაძე, მაია კბილაშვილი, გვანცა გრძელიაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, ზაზა ზივზივაძე, გურამ ჩხეიძე, ზვიად გუმბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ნინო კვირიკაძე. სულ: 21 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, ირაკლი გოგსაძე, შადიმან გორგოძე, შალვა მშვილდაძე, ვლადიმერ წიქორიძე, მაკა მესხი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

უჩა გელხვიიძე-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ეკა მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

აზა ნერგაძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში;

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერი მომართვის საფუძველზე მოწვეული იქნა დღევანდელი სხდომა და სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1.სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

2.სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის (ს/ნ 203840656) ქ. ბაღდათში ვაჟა ფშაველას ქ. N5-ში 30.11.33.489 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობის პირველ სართულზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებად 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 295.49 კვ.მ. ფართიდან 13.3 კვ.მ. (ოთახი N3) და 30.0 კვ.მ. (ოთახი N5) ფართების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

3.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

4.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 1. . სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კახა მსხვილიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა, სხდომას გააცნო სო9ფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული იმ პროექტების ნუსხ, რომელიც ჩამოყალიბდა სოფლებში მოქალაქეებთან განხილვის შედეგად.

აზრი გამოთქვეს: სიმონ ჭოლოკავამ, გურამი კიკნაველიძემ, მურად ბურჯანაძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, გია სახამბერიძემ, კახა კოხოძემ, ეკა მშვილდაძემ, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებიდან. ნოდარი გიორგიძემ.

საკრებულოს კომისიაზე საკითხის განხილვის შესახებ ისაუბრა: **თორნიკე გაჩეჩილაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N16 განკარგულება:გ-67.67220984 თარიღი:08/04/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 21 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის (ს/ნ 203840656) ქ. ბაღდათში ვაჟა ფშაველას ქ. N5-ში 30.11.33.489 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობის პირველ სართულზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებად 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 295.49 კვ.მ. ფართიდან 13.3 კვ.მ. (ოთახი N3) და 30.0 კვ.მ. (ოთახი N5) ფართების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი სხდომას წევრებს გააცნო: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელმაც აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის" წერილი მუნიციპალიტეტში მომუშავე ნოტარიუსისათვის სამუშაო ფართის გამოყოფის თაობაზე". როგორც ქ. კარკაძემ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოფილი პროკურატურის შენობაში, რომელიც გადმოცემულია მუნიციპალიტეტზე, შერჩეულია ორი ოთახი და საჭიროა საკრებულოს თანხმობა, რათა მუნიციპალიტეტის მერმა დროებით სარგებლობაში უზუფრუქტის სახით გადასცეს სსიპ „ საქართველოს ნოტარიუსთა პალატას".

საკრებულოს კომისიის პოზიცია საკრებულოს წევრებს გააცნო **თორნიკე გაჩეჩილაძემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N17 განკარგულება:გ-67.67220983 თარიღი:08/04/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 21 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო: თორნიკე გაჩეჩილაძემ კომისიის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ საკითხი შემდგომი დაზუსტების გამო გადაიდო წინა ბიუროს სხდომაზე, რომ ამჟამად საკითხზე ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია და შესაძლებელია საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N18 განკარგულება:გ-67.67220982 თარიღი:08/04/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 21 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გაჩეჩილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „წინა ბიუროს სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საპრივატიზაციო ობიექტების ფასმა, რომ ეს საკითხი ამჯერად შეჯერებულია ყველა კომისიის წევრთან და შესაძლებელია წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე".

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N19 (განკარგულება თან ერთვის) განკარგულება:გ-67.67220981 თარიღი:08/04/2022

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 21 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**